საქართველოს კონსტიტუციური კანონი

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №62, 05.11.2010, მუხ. 379) პირველ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 33-ე პუნქტით განსაზღვრული 81^1 მუხლი ამოღებულ იქნეს და იმავე პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„81-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“.

2. 39-ე პუნქტით განსაზღვრულ 93-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. თუ პარლამენტი ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 2 თვის განმავლობაში ვერ მოახერხებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებას, ეს ჩაითვლება უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრად და გაგრძელდება კონსტიტუციის 81-ე მუხლის მე-2–მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურები. თუ პარლამენტი იმავე მუხლის მე-2–მე-4 პუნქტებით დადგენილ ვადაში უნდობლობას ვერ გამოუცხადებს მთავრობას, პრეზიდენტი ამ ვადის ამოწურვიდან 3 დღეში დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.“.

3. 44-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

ქუთაისი,

4 ოქტომბერი 2013 წ.

N1456-Iს